პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
კვირა 21 ივნისი
№ 144 (18086)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი გამოიჩენენ მაღალ ორგანიზებულობას და შეკავშირებას, პირნათლად შეასრულებენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის დასახულ ამოცანებს...

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის მიმართვიდან საქართველოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაებისადმი, სოფლის სპეციალისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სასოფლო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის სსრკ მოსკოვისა და სვერდლოვსკის ოლქის მოწინავე საწარმოთა და გაერთიანებათა კოლექტივების ინიციატივის შესახებ“.

ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის უწყვეტი აღმავლობის შესაბამისად სკკპ XXVI ყრილობის გადწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებაის უზრუნველყოფის მიზნით ქალაქ მოსკოვისა და სვერდლოვსკის ოლქის მოწინავე საწარმოთა და გაერთიანებათა კოლექტივებმა გამოიჩინეს ინიციატივა, რომლის მიზანია მიმართავენ ხუთწლედში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება, ასორტიმენტის გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება.

ქალაქ მოსკოვისა და სვერდლოვსკის ოლქის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მხარი უჭირეს საწარმოო კოლექტივების თაოსნობას ამ მნიშვნელოვან სოციალურ საკითხში და სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და სხვა ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით შეიმუშავეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების კომპლექსური პროგრამები. დასახული ღონისძიებებით გათვალისწინებულია მოეწყოს მოსახლეობისათვის ნაწარმის გამოშვება მეტწილ სამრეწველო საწარმოებსა და გაერთიანებებში. უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება საქონლის ხარისხის გაუმჯობესებას, ახალ სახეობათა, მათ შორის ტექნიკურად რთულ სახეობათა საქონლის წარმოების ათვისებას, გადიდებული მოთხოვნის მოხმარების საგნების გამოშვების მნიშვნელოვან გაფართოებას. ამ პროგრამების განხორციელება ძირითადად უზრუნველყოფილ. იქნება მოქმედ საწარმოთა და საამქროთა რეკონსტრუქციისა და სპეციალიზაციის, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის, ნედლეულის, მათ შორის ადგილობრივი ნედლეულის, აგრეთვე წარმოების ნარჩენების უფრო რაციონალური გამოყენ ებ ი ს გზით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ქალაქ მოსკოვისა და სვერდლოვსკის ოლქის მოწინავე საწარმოთა და გაერთიანებათა კოლექტივების ინიციატივა მეთერთმეტე ხუთწლედში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ ფართოდ გაავრცელონ ეს მნიშვნელოვანი თაოსნობა, შეიმუშაონ შესაბამისი ღონისძიებანი, გაშალონ შრომითს კოლექტივებში სოციალისტური შეჯიბრება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, საწარმოთა და გაერთიანებათა, მათ შორის მძიმე ინდუსტრიის დარგებში არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების უფრო სრული მობილიზაციის საფუძველზე. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ყოველდღიური მოთხოვნის საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფას.

ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს წინადადება მიეცათ ოპერატიულად და ღრმად გააშუქონ, თუ როგორ მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ გაიზარდოს მოსახლეობისათვის საქონლის წარმოება, გაფართოვდეს ასორტიმენტი და გაუმჯობესდეს ხარისხი, გააშუქონ ამ მიზნით საწარმოთა და გაერთიანებათა შინაგანი რეზერვების უკეთ გამოყენების გამოცდილება.

„პრავდის“ კრიტიკის კვალდაკვალ

გაზეთ „პრავდის“ 20 ივნისის მოწინავე წერილში, სადაც ლაპარაკია თიბვის დაჩქარებაზე, სხვებთან ერთად მოხსენებულია ჩვენი რესპუბლიკა იმასთან დაკავშირებით, რომ მას მთელ რიგ რაიონებში დროულად არ შეუდგენენ და აყოვნებენ თიბვას.

ამის თაობაზე „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრს შ. ეცაევაშვილს.

კრიტიკა სავსებით სამართლიანია. რესპუბლიკაში შარშანდელთან შედარებით ჩამორჩენაა მეცხოველეობის საკვების წარმოებისა და დამზადებაში. ეს ძირითადად გამოწვეულია უამინდობით, ალბათ, მთავარი ეს არ არის. მთავარი ის გახლავთ, რომ ზოგიერთ ადგილებში არ ჩქარობენ და დარიანდ ადგილებს მაქსიმალურად არ იყენებენ, დრო კი, მოგეხსენებათ, არ ითმენს. ეს უწინარეს ყოვლისა, ეხება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, აგრეთვე თელავის, ყვარლისა და სხვა რაიონებს, სადაც საკვებმოპოვების საშუალებებს თავი ვერ მოუყარეს მთავარი მიმართულებით, საზოგადოებრივ მეურნეობებში სათანადოდ ვერ გაშალეს საკვებდამამზადებელთა სოციალისტური შეჯიბრება, ამასთან ფურაჟის დამზადებაში დღემდე აქტიურად ვერ ჩაებეს სამრეწველო საწარმოების მუშა-მოსამსახურეები, სკოლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეები, მასწავლებლები, რაიონისა და სოფლის ინტელიგენცია.

ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჯერ კიდევ მაისის დამდეგს რესპუბლიკის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობას, სოფლის მეურნეობის სამმართველოებს კონკრეტული ამოცანები დაუსახა არა მხოლოდ საკვების დამზადების გეგმების შესრულებისათვის, არამედ ნაკისრი ვალდებულებების რეალიზაციისათვის. სამამისოდ მათ გამოეყოთ საჭირო ტრანსპორტი და ტექნიკა.

მართალია, უკანასკნელ დღეებში დაჩქარდა საკვების დამზადება, მაგალითად, 18 ივნისთან შედარებით 19 ივნისს 19.453 ტონით მეტი სენაჟი ჩაიდო, ასევე მეტი დამზადდა სილოსი და თივაც, მაგრამ ფურაჟით მომარაგების ანალიზი მოწმობს, რომ საკვებმომპოვებლებმა მკვეთრად უნდა გააძლიერონ მუშაობის ტემპი; კიდევ უფრო მასობრივი უნდა გახდეს საკვების მინდვრებში მოწყობილი შაბათობები, უნდა გააქტიურონ დახმარება არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა, მოსწავლეებმა და ინტელიგენციამ.

სწორედ ამას მოგვიწოდებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის მიმართვა რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი.

იმედს გამოვთქვამ, რომ უახლოეს ხანში „პრავდას“ შევახარებთ, რომ საკვების საქმე მთლიანად საქართველოში მოგვარებულია.

შეხვედრა საქართველს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გაზეთი „პრავდა“ მსოფლიოში ყველაზე გავლენიანია. არ არსებობს ბეჭდვითი სიტყვის ორგანო, რომელიც წარმოადგენდეს ისეთ მძლავრ პარტიას, ისეთ ძლიერ სახელმწიფოს, როგორსაც ჩვენი „პრავდა“ წარმოადგენს. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს რუპორი, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა, მსოფლიო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის კოლექტიური ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, გაზეთი, რომელიც 11-მილიონიანი ტირაჟით გამოდის, უაღრესად პოპულარული გახდა ჩვენს ქვეყანაში და აღიარება მოიპოვა ყველა კონტინენტზე.

20 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ აქტივს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, პრესის მუშაკებს შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. გ. აფანასიევი.

შეხვედრა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

ვ. გ. აფანასიევმა საინტერესოდ, შინაარსიანად ილაპარაკა გაზეთ „პრავდის“, იმ პრობლემების შესახებ, რომლებზეც იგი ამჟამად მუშაობს, თქვა, თუ როგორ აშუქებს გაზეთი, რომელიც განუზრელად ავითარებს პარტიული და საბჭოთა პრესის ლენინურ პრინციპებს, ქვეყნის პარტიული მშენებლობის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების აქტუალურ საკითხებს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ კურსს.

შეხვედრას დაესწრნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი და თ. ნ. მენთეშაშვილი.

(საქინფორმი).

21 ივნისი მედიცინის მუშაკთა დღეა

საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე

ჩვენში სულ უფრო ვითარდება ჯანმრთელობის დაცვა, შენდება ახალი საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ამბულატორიები, სულ უფრო უმჯობესდება მოსახლეობის მომსახურება. ამ რამდენიმე ხნის წინათ დედაქალაქის ჯანმრთელობის დაცვის კერებს შეემატა კიდევ ერთი ახალი დაწესებულება — ბავშვთა ადდგენითი მკურნალობის რესპუბლიკური საავადმყოფო-რეაბილიტაციის ცენტრი.

საავადმყოფოში ჩინებული პირობებია შექმნილი ნორჩი პაციენტებისათვის — მედიცინის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამკურნალო კაბინეტები, ბალნეოლოგიური აბაზანები და მწვანეში ჩაფლული სპორტული და სათამაშო კომპლექსები.

სურათებზე: ნორჩი პაციენტი სამკურნალო ფიზკულტურულ კაბინეტში; სათამაშო კომპლექსი „ლაბირინთი“. ს. კილაძის ფოტო.

საქართველოს ДЕДАКАЛАКИ ДОСТОПРИМЕЧАТЕЛЬНОСТИ

დედაქალაქი უმასპინძლებს

ჩვენს მეხსიერებაში ნათლად არის აღბეჭდილი ის დიდებული დღეები, როცა ასე ზეიმით აღინიშნეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავი.

ჭეშმარიტად სწორად შეაფასა მაშინ ჩვენი სიხარული ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა: „თქვენი დღესასწაული ყველა საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა კავშირის ხალხთა მთელი დიდი ოჯახის დღესასწაულია“.

დღესასწაული გრძელდება. მან ამჯერად ჩვენი დიადი სამშობლოს ცენტრში — მოსკოვში გადაიანაცვლა. ხვალ საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს სსრ დღეები დედაქალაქში.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან წარმოების მოწინავეები, ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, უკვე მოსკოვს ჩამოვიდა.

მეტად მრავალფეროვანი იქნება მოსკოვში საქართველოს დღეების პროგრამა. ოფიციალური ზეიმისა და მიღების გარდა, გათვალისწინებულია შეხვედრა საფეიქრო გაერთიანების „სმენის“ და მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკის მუშებთან.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ეწვევიან აგრეთვე ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ივერიის“ საკუთარ სტუდიაში. ეს უნიკალური ანსამბლი თავის რიგებში 800 ბავშვს აერთიანებს. ისინი ქართული ცეკვის მოტრფიალენი არიან. რა ეროვნების მოცეკვავეებს არ შეხვდებით აქ: რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, ქართველებს, სომხებს, უზბეკებს, ესტონელებს... ბავშვები აქვე, მშვენიერ სტუდია-სასახლეში სწავლობენ საქართველოს ისტორიას, მის კულტურას, ქართულ ენას.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს მიიღებენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტში, შემდეგ ისინი დაათვალიერებენ ოლიმპიურ ობიექტებს.

გაიმართება მოსკოვის მშრომელთა შეხვედრა საქართველოს სსრ დელეგაციასთან და მოეწყობა დიდი საზეიმო კონცერტი საქართველოს და მოსკოვის ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. შემდეგ საქართველოს სსრ დელეგაციას უმასპინძლებს პარტიის ძერჟინსკის რაიონული კომიტეტი.

საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი გაიმართება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე.

საქართველოს წარგზავნილები ქალაქ „ზეიოზდნში“ ეწვევიან კოსმონავტებს...

ასე რომ, მოსკოვი მზად არის შეხვდეს და უმასპინძლოს საქართველოს სსრ ეროვნებათა საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეროვნებათა საბჭოს

კვლავაც სრულვყოთ საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილის ამხ. ვ. მ. ნიკიფოროვის გამოსვლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე 1981 წლის 18 ივნისს

ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა მინდა გამოვთქვა დიდი კმაყოფილება იმის გამო, რომ წელად მხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო თქვენი პლენუმის მუშაობაში.

თავიდანვე გეტყვით, პლენუმი ძალზე მომეწონა, მომეწონა მისი საქმიანი განწყობილება, რაც დღის წესრიგითვე გამოიხატა: „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გაჯაუდებელი ამოცანები თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად“.

დიდი ინტერესით მოვისმინე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება, რომელმაც საქმიანი და პრინციპული ტონი მისცა პლენუმის მუშაობას. მე სავსებით ვიზიარებ აქ გამოსული ამხანაგების აზრს, რომ ეს მოხსენება კონკრეტული პროგრამაა იმისა, თუ როგორ იმუშაონ მომავალ პერიოდში რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, ყველა კომუნისტმა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

სკკპ XXVI ყრილობა მსოფლიო-ისტორიული მასშტაბისა და მნიშვნელობის მოვლენა გახდა. ახლა პარტიისა და ხალხის მეცადინეობის მიზანია ხორცი შეასხან ყრილობის გადაწყვეტილებებს, უზრუნველყონ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა უცილობელი შესრულება. ამისათვის საჭიროა, ითქვა ყრილობაზე, უწინარეს ყოვლისა, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა და მტკიცე, ნამდვილად კომუნისტური, შეგნებული დისციპლინა. მაგრამ, რა თქმა უნდა, არანაკლებ საჭიროა აზრის ალმაფრენა, სიახლის დაუღალავი ძიება, ამ სიახლის მხარდაჭერა. საჭიროა მუდმივი ინიციატივა — ინიციატივა ყველგან და ყველაფერში.

ცხადია, რომ ეს მოთხოვნები ეხება ყველა პარტიულ, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოს, თითოეულ პარტიულ ორგანიზაციას და ყოველ შრომითს კოლექტივს.

ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში მაღალი მიზანმიმართულების, საქმიანი მიდგომის, ოპერატიულობის მაგალითს გვიჩვენებს სკკპ ცენტრალური კომიტეტი. ყრილობის შემდეგ ოთხი თვეც არ გასულა, მაგრამ ამ დროის მანძილზე ცენტრალურმა კომიტეტმა უდიდესი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა გასწია, განიხილა და გადაწყვიტა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო და სოციალური საკითხები.

უწინარესად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების, XXVI ყრილობის სხვა მასალების განხილვისა და შესწავლის იდეოლოგიერ და პროპაგანდისტულ ღონისძიებათა პროგრამა. პარტიულ ორგანიზაციათა ყურადღება მიეპყრო მთავარს — ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების დებულებები და დასკვნები, ყრილობის იდეების მთელი სიმდიდრე გადაქცეონ ყოველი კომუნისტის, თითოეული მშრომელის კუთვნილებად. ეს იდეები ღრმად უნდა ჩაესწვდეს ადამიანებს გულსა და შეგნებაში, ისინი განმსაზღვრელ როლს უნდა ასრულებდნენ მათს მუშაობაში, მთელ ცხოვრებაში.

ცხადია, ეს არ არის ერთი დღის საქმე, ყრილობის მასალების ახსნა-განმარტება უნდა იყოს სისტემატიური, გეგმაზომიერი, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული. ამ მუშაობაში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალებათა მთელი არსენალი.

პარტიის ყრილობამ ხალხის უდიდესი აღფრთოვანება და პატრიოტული ამაღლება გამოიწვია. ყველა შრომითს კოლექტივში იმადება დიდმნიშვნელოვანი თაოსნობანი. მასების ენერგიის, შემოქმედების ამ მძლავრი ნაკადის სწორი კალაპოტით წარმართვის მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

დადგენილებაში გათვალისწინებულია პრინციპული მითითებანი, რომლებიც XXVI ყრილობამ მოგვცა შეჯიბრების საკითხთა გამო, დაზუსტებულია შეჯიბრების მიზნები და ამოცანები, შეფასებულია შეჯიბრებულთა საქმიანობა, განსაზღვრულია გამარჯვებულთა მატერიალური და მორალური წახალისების სისტემის სრულყოფის ღონისძიებანი.

ყრილობის დებულებათა შესასრულებლად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა პრაქტიკულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც დაკავშირებულია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უკეთ გამოყენებასთან, ლითონსაროდუქციის წარმოება-გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებასთან, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებასთან.

ქვეყნისათვის, სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას არაშავმოწინაღდგენ ზონაში, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ შავმიწა-ნიადგაინ რაიონში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების შესახებ.

შემუშავებულია და ხორციელდება დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-დამზადების გაუმჯობესების, მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობათა განვითარების ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების, ბავშვიანი ოჯახებისადმი დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. ხალხმა კმაყოფილებით აღიქვა ეს კონკრეტული, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები ყრილობის მიერ დასახული სოციალური პროგრამის რეალიზაციის გზაზე. როგორც ხედავთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტი პირველი დღეებიდანვე ენერგიულად და მტკიცედ ახორციელებს ყრილობის გადაწყვეტილებებს. საქმისადმი ასეთსავე მიდგომას მოითხოვს იგი ყველა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციისაგან.

თქვენი პლენუმის მუშაობა საუცხოო დასტურია იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ მოთხოვნებს.

მომდინარე წლის 28 მაისს გაიმართა პოლიტბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს საბჭოთა საქართველოს და რესპუბლიკის კომპარტიის 60 წლის თავის დღესასწაულზე საქართველოში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ყოფნის შედეგები.

თბილისში გამართულ საზეიმო სხდომაზე გამოსულის ლეონიდ ილიას ძემ მაღალი შეფასება მისცა დღესასწაულს, განსაკუთრებით გულთბილად მოიხსენია თქვენი ნიჭიერი ხალხის დიდი წარმატებანი, რომელმაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მიაღწია რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სწრაფტემპს.

საქართველოს მშრომელებმა წარმატებით გადაწყვიტეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მრავალი ამოცანა, მიაღწიეს მნიშვნელოვან შედეგებს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.

მეცხრე და მეათე ხუთწლედების წლებში თქვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაბანდდებულია 14 მილიარდ მანეთზე მეტი, აშენდა დაახლოებით 90 დიდი ახალი საწარმო, მათ მოიხსენიარა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ქვეყანაში ცნობილი ენგური ჰიდროელექტროსადგური, მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი, რუსთავის ფოლად-თუჯასამსხმელო ქარხანა, სოხუმის ქიმიური ქარხანა, თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების ახალი სიმძლავრეები, მთელი რიგი მეცხოველეობის კომპლექსები, მეფრინველეობის ფაბრიკები, აგრეთვე სოციალურ-კულტურული დანიშნულების მრავალი ობიექტი. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა იმას, რომ რესპუბლიკაში მრეწველობის პროდუქციის წარმოება მარტო უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გაორკეცდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება ერთნახევარჯერ გაიზარდა. შედარებისათვის ვიტყვი, რომ ქვეყნის მასშტაბით ზრდამ შეადგინა შესაბამისად 1,67 და 1,23.

ეს წარმატებანი მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა, მეცნიერთა და სპეციალისტთა თავდადებული შრომის, იმ მარჯვე, მიზანდასახული ორგანიზატორული საქმიანობის შედეგია, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ეწევიან რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ორგანოები.

მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენი პარტიის ძალა სწორედ ის არის, რომ მიაგებს რა ჯეროვან პატივს მიღწევებს, ადამიანთა ღვაწლს, იგი ამასთანავე მოითხოვს კრიტიკულად ვუდგებოდეთ მოპოვებულ შედეგებს, არ დავჯერდეთ მიღწეულს, განვაგრძოთ წინსვლა-განვითარება, ვიბრძოლოთ მეტი-სათვის. სწორედ ამიტომ იყო, რომ თქვენმა დღესასწაულმა, შეიძლება ითქვას, საქმიან საფუძველზე ჩაიარა.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ახლანდელ პლენუმზეც სწორედ ასეთი პოზიციებიდან მიმდინარეობს სჯა-ბაასი. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიხსენიოთ ამხანაგების თ. ნ. მენთეშაშვილის, თ. ი. მოსაშვილის, შ. გ. ნიშნიანიძისა და სხვათა საქმიანი, თვითკრიტიკული გამოსვლები.

ამხანაგებო!

ჩემს მგამოსვლაში მინდა შევეხო აგრეთვე იმ საკითხს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის საქმიანობაში. საქმე ეხება მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებასა და კონტროლს.

სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა: „ხელმძღვანელობის ხელოვნება ის კი არ არის, ამრავლებდე და იძლეოდე სადირექტივო მითითებებს ყოველი საბაბის გამო. გადაწყვეტილებას რომ მივიღებთ, უნდა მივაღწიოთ მის განუხრელ შესრულებას დაწესებულ ვადაში. სწორედ ამას უნდა შეუწყოს ხელი კონტროლის გაძლიერებამ. და ეს კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს სისტემატურად და ოპერატიულად, ერთდროულად ზემოდან და ქვემოდან“.

იმის მაგალითი, თუ როგორ წარმართოთ ზუსტად ეს მუშაობა, ახლახან გვიჩვენეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პოლიტბიუროს წევრებს მოახსენა ე. ა. შევარდნაძის თხოვნა დახმარება გაგიწია ინ დადგენილებათა შესრულებაში, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ მიიღეს წინათ საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებს დაევალათ სასწრაფოდ უზრუნველეყოთ შემოწმება და შედეგები მოეხსენებინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტისათვის.

ამის შესახებ უფრო ვილაპარაკეთ, მაგრამ ეს, ჩემი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენებია, და ამიტომ ზოგიერთ მომენტს გავმეორებ.

ოპერატიულად, აწყობილად, საკმაოდ ღრმად და კომპეტენტურად სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატმა ერთი კვირის მანძილზე გასწია უდიდესი მუშაობა, რათა შეემოწმებინა, თუ როგორ სრულდება საქართველოს თაობაზე მიღებული როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფუნდამენტური დადგენილებანი, ისე ცალკეული დადგენილებანი, რომლებიც განსაზღვრა ქვეყნის სახალხო მეურნეობის დარგების თაობაზე გამოტანილ 59 გადაწყვეტილებაში. ამ დავალების შესრულების საქმეში ჩაბმული იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის თერთმეტი განყოფილება, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ბევრი ქვეგანაყოფი, 23 საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი, რომ მთელი ეს მუშაობა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაუცხრომელი ყურადღებით მიმდინარეობდა. იგი ხშირად კითხულობდა შემოწმების მიმდინარეობას და დაბეჯითებით მოითხოვდა, ყველაფერი უცილობლად შეგვეკრულებინა.

შემოწმების შედეგებმა ცხადყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, რომლებიც საქართველოს სსრ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობასა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას ეხება, ძირითადად სრულდება.

ამასთანავე შემოწმებამ ცხადყო ისიც, რომ მთელი რიგი დადგენილებანი მთლიანად ვერ შესრულდა. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 11 იანვრის დადგენილებას „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. სხვადასხვა მიზეზის გამო არ შესრდომიან აღნიშნული დოკუმენტებით დასახული მთელი რიგი ობიექტების რეკონსტრუქციასა და მშენებლობას, მათ შორის არის ნამახვანჰესი, სამრეწველო კონდიციონერების ქარხანა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „მეინონს“ კომპლექსის მეორე რიგი. სამთო მიწათმოქმედების მანქანა-ტრაქტორთა ქარხანა, საკვაჭრო-ტექნოლოგიური და სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობის ქარხნები. მთელი რიგი ნილსაცავები, მაცივრები და კვების მრეწველობის სხვა ობიექტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 სექტემბრის დადგენილებამ „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, როგორც ცნობილია, განსაზღვრა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის პროგრამა მეთერთმეტე ხუთწლედისა და პერსპექტივისათვის, მაგრამ მისი შესრულების მიმდინარეობის შემოწმებისას გამოირკვა, რომ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ, მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, ხილოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ დასახეს იმ პროგრამის მნიშვნელოვანი შემცირება, რომელიც ეხება ხილოსტნეულის კონსერვების წარმოების ზრდას, ღვინის მრეწველობის სიმძლავრეთა განვითარებას, საცავებისა და მაცივრების, მინის ტარის, კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობის ქარხნების მშენებლობას.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, და ეს ითქვა პლენუმზე, ის, რომ მთლიანად ვერ შესრულდა საქართველოს შესახებ მიღებული დადგენილებანი, იმითაც არის გამოწვეული, რომ თქვენი რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში გარკვეული ხარვეზები იყო. სწორედ ამას მიაპყრო ყურადღება სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს მოსთხოვა მტკიცედ დაიცვან პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, აამაღლონ პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ მოცემული საკითხის მომზადების პროცესში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საკავშირო სამინისტროებმა და უწყებებმა განიხილეს და დადებითად გადაწყვიტეს იმ პრობლემათა მეტი ნაწილი, რომლებიც წინათ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას ეხება. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ეს ცნობად მიიღო და სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალა უზრუნველყონ დასახულ ღონისძიებათა უცილობელი შესრულება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აგრეთვე დაავალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაძლიეროს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესასრულებლად. უფრო სრულად უნდა გამოიყენოთ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, ახალ სიმძლავრეთა ათვისების დაჩქარების, ყველა საწარმოს რიტმული მუშაობის უზრუნველყოფის რეზერვები. ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა აგრეთვე უფრო აქტიურად წყდებოდეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციის ამოცანა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებს კონტროლი გაუწიონ მოცემული დადგენილების შესრულებას და შედეგები მოახსენონ 1982 წლის ივლისში.

ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის თაობაზე — ეს არის მკაფიო და დამაჯერებელი მაგალითი ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ფაქიზ ყურადღებისა თქვენი რესპუბლიკის, მისი ავტონომიური ერთეულების მიმართ. რესპუბლიკის საჭიროებებისადმი მამაბრივი მზრუნველობის გამოვლინება. იგი უდავოდ მიანიჭებს ახალ იმპულსს რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დაჩქარებულ განვითარებას, ხელს შეუწყობს იმ ჩამორჩენის უსწრაფესად აღმოფხვრას, რომელიც ჯერ კიდევ აქვს საქართველოს საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის, ეროვნული შემოსავლის და მთლიანი მრეწველობის პროდუქციის წარმოების მხრივ. მიღებული დადგენილების თანამიად მარტო მიმდინარე ხუთწლეულისათვის, გეგმის პროექტით გათვალისწინებულის გარდა უნდა გამოიყოს დაახლოებით ნახევარი მილიარდი მანეთი საწარმოთა ასაშენებლად და სარეკონსტრუქციოდ.

ყოველივე ეს, ამხანაგებო, პარტიულ კომიტეტებს, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, შრომითს კოლექტივებს, პირველადს პარტორგანიზაციებს, რესპუბლიკის ყველა კომუნისტს აკისრებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ამ დოკუმენტით განსაზღვრულ დავალებათა უცილობელი შესრულებისათვის. და მათაც უნდა გაამართლონ მაღალი ნდობა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, პირადად ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა რომ გაუწიეს.

ამხანაგებო!

დამეთანხმებით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ საქართველოს თაობაზე მიღებული დადგენილება ყოველი ჩვენგანისათვის, ქვეყნის ყველა პარტიული კომიტეტისათვის მაგალითია იმისა, თუ რაოდენი მომთხოვნელობით და თანამიმდევრულად უნდა ვეკიდებოდეთ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. იგი თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლისა და შესრულების შემოწმების საკითხებს. მისი მითითებანი იმის თაობაზე, რომ საჭიროა კვლავაც ვადევნოთ თვალი მიღებულ გადაწყვეტილებათა ჯეროვან შესრულებას რესპუბლიკაშიც და ცენტრშიც, რომ გადაწყვეტილებათა ავტორიტეტს უნდა ეუფრთხილდებოდეთ, — წარუვალი კანონი უნდა გახდეს თითოეული პარტიული ორგანიზაციისათვის, ყოველი კომუნისტისათვის. ამის შესახებ დამაჯერებლად ილაპარაკა პლენუმზე გამოსვლისას ფ. შ. მახარაძემ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დასახული მოთხოვნების შესაბამისად საჭიროა ყველავაც სრულვყოთ ორგანიზატორული, მასობრივ-პოლიტიკური, იდეოლოგიური მუშაობა; ავამაღლოთ პირველადი პარტორგანიზაციების მებრძოლურობა, თითოეული კომუნისტის, ყოველი ხელმძღვანელის როლი და პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, კონკრეტულ სამუშაო უბნისათვის; ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი და აქტიურად გავავრცელოთ მოწინავე გამოცდილება, მუშაობის მოწინავე ფორმები და მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების, წარმოების ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლების ზრდას, მთელი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას; მომჭირნედ და ყირთაობაზე გამოვიყენოთ ყველა სახეობის რესურსები, მივაღწიოთ მაქსიმალურ უკუგებას მინიმალური დანახარჯებით.

უნდა აღინიშნოს, რომ შესრულების კონტროლი თქვენშიც, თქვენს პარტიულ ორგანიზაციაში, საქმის მთელი ორგანიზაციის სრულყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი ხდება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალურ კომიტეტშიც და ადგილებზეც ნიადაგ ეძებენ და ნერგავენ კონტროლის ახალ ფორმებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ეფექტი მოაქვს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საგგმით დავალებათა შესრულებისადმი კონტროლის დამკვიდრებული პრაქტიკა. მთლიანად რესპუბლიკა რომ ავიღოთ ეს უკვე გარკვეული სისტემაა.

ოპერატიული კონტროლი ხორციელდება ყოველდღიურად არა მარტო ცალკეული საწარმოების, არამედ აგრეთვე მთელი ქალაქებისა და რაიონების ფარგლებში, ხოლო შედეგების შეჯამება ხდება ყოველდღიურად, ყოველკვირეულად დარგების მიხედვით, ყოველთვიურად — რესპუბლიკის მიხედვით ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომებზე. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ასეთი კონტროლი ხორციელდება რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრაქტიკულად ყველა რიგითად მაჩვენებლის მიხედვით.

აღნიშნული კონტროლის ორგანიზაციაში კარგი გამოცდილება შეიძინა რესპუბლიკის ზოგიერთმა პარტიულმა კომიტეტმა. შეიძლება არ აღინიშნოს თბილისი, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო კომიტეტები, აბაშის, თელავისა და მთელი რიგი სხვა სასოფლო რაიკომები.

სერიოზული ყურადღების ღირსია აგრეთვე რესპუბლიკაში ვრცელებული ისეთი კონტროლ-ფორმა, როგორიც არის საქალაქო და რაიონული კომიტეტების სამინისტროების, ცალკეული წარმო-ორგანიზაციების კომპლექსურ შემოწმებათა მოწყობა. ასეთი შემოწმებები დიდი სარგებლობა მოაქვს, ისინი საშუალებას გვაძლევს კომპლექსურად შევისწავლოთ საქმის მდგომარეობა, წარვმართოთ და გავაუმჯობესოთ შემოწმებული ობიექტების საქმიანობა.

ჩვენ ახლახან გავეცანით პარტიის აფხაზეთის სალოკო კომიტეტის დადგენილებას პარტიულ გაგრის საქალაქო კომიტეტის მძლავრული შემოწმების შედეგების შესახებ. ცხადად ჩანს, რა ცვლილებები ხდება ქალაქში — გარკვეულ სირთულეთა ფონზე, რომლებიც წარსულში გქონდა, ჩანს, როგორ წარმართავს საქალაქო კომიტეტი თავის მუშაობას, მასებთან კავშირის განსაზღვრულად, რა პრობლემებია გადაწყვეტილი და ა. შ.

კონტროლის კარგი ორგანიზაციის მაგალითები, რომელნი შედეგად დასახული ამოცანები წარმატებული რეალიზაცია მოჰყვეს, თქვენს რესპუბლიკაში საკმაოდ ცოტა არ უნდა იყოს. ამასთანავე დიდ კმაყოფილებას იწვევს თვით რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მისწრაფება გამოვლინოს, საუკეთესოზე გამოიტანოს კონტროლის ორგანიზაციის ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, მოსაწონია დაუღალავი მუშაობაც ამ საქმიანობის სრულიელი რაიკომები.

ამხანაგებო! ჩემი გამოსვლა დასასრულს მინდა გამოვთქვა ერწმენა, რომ საქართველოს რესპუბლიკა გაართმევს თავს 1981 წლის და მთლიანად ხუთწლედის საგეგმო დავალებათა შესრულებას, მოიპოვებს ახალ დიდ წარმატებებს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

ამისათვის თქვენ გაგაჩნია ძალა და ენერგია ამ პარტიული ორგანიზაციისა, გამოცდილება, დიდი პასუხისმგებლობით ბესმენელი ამოცანების, რომელიც ამ სუბიექტურ ფაქტივი, ობიექტურ დარბაზში გვესწრება, გაგაჩნია ისეთი შესანიშნავი ადამიანები, რომელიც არის მეცხოველეობის, საბჭოთა მეურნეობის ბრიგადიერი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ნ. დ. პეტრიაშვილი, რომელიც აქ გამოვიდა.

გულწრფელად გისურვებ ყოველივე საუკეთესოს.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გ. გილაშვილის მოხსენება*

პატივცემულო ამხანაგებო! დეპუტატებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გუშინდელმა პლენუმმა ჩვენს მეხსიერებაში ახალი ძალით აღადგინა ის ღრმად შთამბეჭდავი დღეები, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმთან.

ჩვენს მეხსიერებაში აღდგა ის დაუვიწყარი ელფერი, რომელიც შესძინა დღესასწაულს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მონაწილეობით ზეიმის ყველა ღონისძიებაში.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვიგრძენით ამხ. ბრეჟნევის მიერ იმ დღეებში. გამოთქმული შენიშვნების, მითითებებისა და სურვილების უაღრესად დიდი მნიშვნელობა საბჭოთა საქართველოს შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

პლენუმის მოწვევამ ჩვენ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმ ღრმა პატივისცემაში, რომელსაც იჩენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებისადმი, იმ მაღალ პასუხისმგებლობაში, რომლითაც ის ეკიდება მათ განხორციელებას. ასეთი ოპერატიული, შემოქმედებითი მიდგომა საქმისადმი და პლენუმის მიერ დასახული გაჯარებული, აწონ-დაწონილ ღონისძიებათა განხორციელება მნიშვნელოვნად განაპირობებს პარტიის XXVI ყრილობის მიზანდასახულობათა წარმატებას.

გუშინ კვლავ დიდი სიამოვნების გრძნობით შევიტყვეთ, რომ ლ. ი. ბრეჟნევის მოსკოვში დაბრუნების შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წინაშეა დასახული სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, სერიოზული პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა გაჩაღდა ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის. ამ მუშაობაში აქტიურად ჩაებნენ სახალხო დეპუტატთა საბჭოებიც, რომელთა საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებანი სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მკაფიოდ განსაზღვრა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიმდინარე წლის 1 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში.

საკითხი, რომელიც დღეს სესიაზე გამოგვაქვს განსახილველად, ტრადიციულია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობისათვის, რადგან ყოველთვის, როცა სკკპ მორიგი ყრილობა პარტიასა და ხალხს უსახავს ახალ ამოცანებს, განსაკუთრებული ძალით დგება სახალხო დეპუტატთა საბჭოების ადგილის, როლისა და პასუხისმგებლობის საკითხი. მაგრამ ყოველთვის ამ ტრადიციული თემის განხილვა ხდება გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, რომელსაც აქვს თავისი განსაკუთრებული ნიშნები, თავისი სოციალური ატმოსფერო, თავისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი შემართება.

დღეს სესიაზე უნდა შევაჯამოთ ის, რაც ჩაფიქრებული იყო და რაც გაკეთდა პარტიის ყრილობებს შუა პერიოდში, გულახდილად და პრინციპულად ვიმსჯელოთ იმ ხარვეზებზე, ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაძლიერების შესახებ“, რომელიც პარტიის XXVI ყრილობის შემდეგ მიიღეს, შეიძლება ითქვას, საბჭოების საქმიანობის გაშლილი პროგრამაა, რომელიც განსაზღვრავს მათ ზუსტ ადგილს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, სახავს ეკონომიკისა და სოციალური განვითარების დარგში საბჭოების მ

დეპუტატ ჰ. გ. გილაშვილის მოხსენება

(დასასრული)

ერთობლივად გამოყენების საკითხიც. ეს იოლი არ გახლავთ, მაგრამ საბჭოები ვალდებული არიან ეს რეალური შესაძლებლობა გამოიყენონ წარმოების ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ინტერესებისათვის.

სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეში, როგორც ცნობილია, დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ წარმოება-დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობებს, რომლებიც ჩვენში, სამწუხაროდ, სუსტად არის განვითარებული. დამხმარე მეურნეობის შექმნის საქმეში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა მეტი მომთხოვნელობა უნდა გამოიჩინონ. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ერთ საწარმოს არ ძალუძს ასეთი მეურნეობის შექმნა, საჭიროა რამდენიმე წარმოება-დაწესებულების სახსრების კოოპერაცია საერთო სარგებლობის დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად. ამ საქმეში მეტი ინიციატივა მართებთ სამინისტროებსა და უწყებებს და, რაღა თქმა უნდა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსაც.

ამხანაგო დეპუტატებო! ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახბინაო მშენებლობას. მართალია, მეათე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში 5 მილიონ 416 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი აშენდა, სახბინაო პირობები გაიუმჯობესა 680 ათასზე მეტმა კაცმა, ხორციელდება ბარაკებსა და სარდაფის სართულებში მცხოვრებთა ახალი ბინებით უზრუნველყოფა, მაგრამ სახბინაო საკითხი კვლავ ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება.

ამას წინათ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიის მოხსენება რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართობის განაწილებისა და იმ მოქალაქეთა აღრიცხვის მდგომარეობის შესახებ, რომლებსაც ბინა სჭირდებათ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რაიონული და სალაქაო საბჭოების ზოგიერთ აღმასკომში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და უწყებებში მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და საცხოვრებელი ფართობის განაწილების საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო დეპუტატთა რაიონული და სალაქაო საბჭოების აღმასკომებს განაზორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებები, რათა ყველა თანამდებობის პირი სრულად და განუხრელად იცავდეს მკაცრ სახელმწიფო წესრიგს ბინების აღრიცხვისა და განაწილების საქმეში, ძირეულად გარდაქმნან საზოგადოებრივ კომისიათა მუშაობა, გაძლიერონ დეპუტატთა კონტროლი.

ჩვენ საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის მოწმენი და მონაწილენი ვართ. რამდენიმე დღის შემდეგ მას განიხილავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია, რაც, უთუოდ ხელს შეუწყობს ბინაზე მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლების პრაქტიკულ განხორციელებას.

დღეს სესია განიხილავს პროექტებს საქართველოს სსრ კანონებისა „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" და „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ", რომლებიც აგრე დამტკიცებულ საქართველოს სსრ მიწის, წყლისა და ტყის კოდექსებთან და წიაღის კოდექსთან ერთად შექმნიან რესპუბლიკის ბუნების დაცვის კანონმდებლობის მწყობრ სისტემას. ახლა, როცა მკაფიოდ არის განსაზღვრული საბჭოების უფლება-მოვალეობანი ბუნების დაცვისათვის საქმიანობის ყველა დარგში, უფრო მკაცრად უნდა მოვკითხოთ მათ ამ საარსებოდ დიდმნიშვნელოვან საქმეში დაშვებული ნაკლოვანებებისათვის.

თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ზესტაფონის, კასპის სალაქაო საბჭოების აღმასკომები ჯეროვან არ უწევენ სათანადო კონტროლს მავნე ნივთიერებებით ატმოსფეროს გაჭუჭყიანების შემცირებისათვის სამეწველო საწარმოთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რის შედეგადაც ამ ქალაქების საჰაერო აუზში მავნე ნივთიერებათა რაოდენობა დასაშვებ ზღვრულ ნორმებს აღემატება. ჭიათურიდან, ჰაერის გაჭუჭყიანებელი ზოგიერთი ობიექტის ქალაქგარეთ გადატანის საკითხის გადაწყვეტა.

ვისაც სურს ნათლად წარმოიდგინოს, თუ რას გვიქადის გარემოს დაბეჭისადმი გულგრილი დამოკიდებულება და საითკენ მიგვყავართ მას, უნდა ნახოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის დაკვეთით შექმნილი დოკუმენტური ფილმი „მტკვარი ითხოვს შველას". და გახა მარტო მტკვარი მოითხოვს შველას? შველას მოითხოვს რესპუბლიკის მრავალი წყალსატევი და მდინარე. მათ შორის შველას ითხოვს მოტყუებული ყვირილაც, რომელაც წინანდებურად მოაქვს მღვრიე ტალღები და ცოცხლობს ზოთა ნიშნიანიძის ბრწყინვალე ლექსში აღწერილი წუთიერი სასიამოვნო მოგონებებით. შველას ითხოვს მდინარე ქსანიც.

ხშირად გვეკითხებიან, რატომ ექცევიან ასე უდიერად ბუნებას? ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს ხდება უწინარესად და უმთავრესად გარემოებრივ ფაქტორები ობიექტების ხელმძღვანელთა შეუგნებლობისა და დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობის შედეგად.

სხვანაირად ფიქრი შეუძლებელია. გამწმენდი ნაგებობებისადმი ისეთივე ყურადღებას რომ იჩენდნენ ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელები, როგორსაც ისინი იჩენენ წარმოების პროცესის დამაბრკოლებელი მიზეზების სალიკვიდაციოდ, რათა „გეგმა არ ჩაუვარდეთ", მაშინ რა თქმა უნდა, შველასთან ერთად შვებასაც იგრძნობდნენ ჩვენი მდინარეები.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უფრო მწვავედ და პრინციპულად უნდა განიხილოს ბუნების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. მკაცრი პასუხი მოსთხოვოს ბუნების დაცვისადმი კონტროლის განმხორციელებელ რესპუბლიკურ ორგანოებს, რომლებიც ხშირად შემრგებლურ პოზიციას იკავებენ და კმაყოფილდებიან ზემდგომ ორგანოებში საინფორმაციო მასალების გაგზავნით.

ამხანაგო დეპუტატებო! სოფლის მშრომელთა ყოფა-ცხოვრება საბალხო დეპუტატთა საბჭოების ყოველდღიური ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. მათი პრესტიჟის საქმეა, რომ უახლოეს მომავალში ჩვენი სოფლები უფრო ლამაზი, ხოლო სოფლის მცხოვრებთა სახლები უფრო კეთილმოწყობილი და მოსახერხებელი იყოს. ჩვენ უკვე გვაქვს დადებითი გამოცდილება. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ტერიტორიათა განაშენიანებისა და კეთილმოწყობის საკავშირო კონკურსებზე, აგრეთვე სახალხო მეურნეობის მოღწევათა გამოფენაზე პრემიებით აღინიშნა ხობის მეციტრუსეობის და ჩაის საბჭოთა მეურნეობების ცენტრალური დასახლების, ქობულეთის, რაიონის სოფელ დაგვისა და მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს" და ბევრი სხვა საკოლმეურნეო სოფლის მშენებლობა.

კონკრეტული საქმეებით უნდა დავუფიროთ მხარი გალის რაიონის სოფელ მზიურისა და თელავის რაიონის სოფელ სანორის მშრომელთა სასარგებლო ინიციატივას —' „მაგნიტრალებს — ლამაზი იერ-სახე: სოფლებს — მაღალი კულტურა".

დეპუტატებმა, მუდმივმა კომისიებმა, აქტივმა, აღმასკომის მთელმა აპარატმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ სოფელი, მისი ქუჩები, ეზოები და შენობები ფორმითაც და შინაარსითაც შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს, მიღწევებსა და გაწყოფილებას, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში სუფევს.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საკონსისა და ვაჭრობის მუდმივმა კომისიამ მასობრივად შეისწავლა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ვაჭრობის მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ყოველდღიური მოთხოვნის ბევრი საქონელი შეიძლება წარმატებით აწარმოონ ადგილებზე. ამ საკითხებს უფრო საფუძვლიანად და ინიციატივიანად უნდა წყვეტდნენ ადგილობრივი მრეწველობა, სამომხმარებლო კოოპერაცია და, რა თქმა უნდა, საბჭოები, მათი მუდმივი კომისიები, დეპუტატთა მთელი აქტივი.

უფრო გონივრულად, ყაირათიანად უნდა ვიყენებდეთ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების ნარჩენებს, ვეძებდეთ და ვპოულობდეთ მათი გამოყენების გზებს, ვავითარებდეთ გადამმუშავებელ მრეწველობას.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანა ის არის, რომ საამღლონ ადგილობრივი მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის დონე. მიაღწიონ იმას, რომ მოსახლეობა იღებდეს საკმაო რაოდენობით ხარისხიან და საჭირო ასორტიმენტის ფართო მოხმარების საქონელს.

განსაკუთრებით უნდა შევეხოთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლს შრომითი რესურსების უფრო სრულად და ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფის საქმეში. საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესმა საბჭომ. რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რესპუბლიკის შრომითი პოტენციალის რაციონალური გამოყენების საქმეს. სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით შექმნა შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების მუდმივი კომისია.

ამ კომისიის ერთ-ერთი პირველი წამოწყება ის იყო, რომ მან საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შეისწავლა შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის თელავის რაიონის წინანდლის სასოფლო საბჭოს მუშაობის გამოცდილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განაზოგადა თელავის რაიონის წინანდლის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გამოცდილება შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენების ორგანიზაციის დარგში, მოიწონა იგი და ფართო დანერგვის რეკომენდაციაც მისცა.

ამ გამოცდილების არსია საზოგადოებრივ მეურნეობაში არსებული შრომითი რესურსების რაციონალური ჩამბის ღონისძიებანი მიზანდასახული სისტემის შემუშავება და რეალიზაცია. სასოფლო საბჭოს აღმასკომში შეიქმნა შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების ხელმძღვანელი სპეციალური შტაბი. სოფლის მეურნეობის ტერიტორია დაიყო რამდენიმე სექტორად, რომლებშიც დეპუტატთა უშუალო მონაწილეობით სწავლობდნენ სოფლის ტერიტორიაზე მცხოვრები თითოეული შრომისუნარიანი ადამიანის შრომითი საქმიანობის ხასიათს, შრომითი დატვირთვის დონეს, შრომის პირობებს, სპეციალობას, ადგილსამყოფელს.

სასოფლო საბჭომ შეისწავლა კადრების დენადობისა და სოფლიდან ადგილობრივ მცხოვრებთა მასობრივად წასვლის, დაბალი შრომის დისციპლინისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაკლები ეფექტიანობის მიზეზები და შესაბამისი მუდმივი კომისიებისა და აქტივის მონაწილეობით იღვწის საზოგადოებრივ მეურნეობაში მათი გეგმაზომიერად ჩაბმისა და სოფლის შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა ამ მიმართულებით შესამჩნევად გააქტიურდა აგრეთვე წალკის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, თიანეთის, ლენტეხის, ონისა და სხვა რაიონებში.

ამასთან ერთად ამ რაიონებშიც კი ორგანიზაციული მუშაობა შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისათვის ჯერ კიდევ თანამიმდევრული და სისტემატური არ არის.

სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა აუდარადოს. ამ ბევრ, განსაკუთრებით სამხრეთ რაიონებში, შრომის გამოყენების სფეროს სუსტ განვითარებასთან ერთად სეზონური მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობისა და შესაბამისად ამ დარგში შრომის ანაზღაურების დაბალი დონე.

როგორც ჩვენი სოციოლოგები წინასწარმეტყველებენ. შრომითი რესურსების სრულად გამოყენების საკითხი მომავალში უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს. ამიტომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა უნდა შეიმუშაონ ამ პრობლემის მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წარმოებაში შრომის ყოველი თავის ამრიდებლის დროულად გამოვლინებას და საერთო შრომის ფერხულში ჩაბმას.

ამხანაგო დეპუტატებო! კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში საბჭოების წინაშე დასახული ყველა ამოცანის გადასაწყვეტად უნდა ავამოქმედოთ ყველა რეზერვი. გამოვიყენოთ ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის მთელი გამოცდილება.

ხალხის ინიციატივა და თაოსნობა რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების დიდი რეზერვია. ბევრი სასარგებლო წამოწყების ინიციატორები ხალხის რჩეულნი — ყველა დონის **საბჭოების** დეპუტატები არიან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეპუტატთა ასეთი ინიციატივა და აქტიურობა ამაღლებს საბჭოს ავტორიტეტს, ეხმარება მას უკეთ ეყრნდოს თავის უფლებებსა და შესაძლებლობებს. ასრულებდეს საკორდინაციო და საკონტროლო ფუნქციებს. ამიტომ კეთილ წამოწყებებს, კარგ ინიციატივებს საბჭო არა მარტო უნდა იწონებდეს, არამედ განუხრელად უჭერდეს მხარს. ინიციატივისათვის გზის მიცემა, მისი მხარდაჭერა საბჭოს მრავალმხრივი მუშაობის ურყევი წესი უნდა გახდეს.

ამხანაგო დეპუტატებო! ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციათა განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა მათი საკონტროლო საქმიანობა. საბჭოების წინაშე დასახულია სერიოზული ამოცანა გაძლიერონ წარმომადგენლობითი ორგანოების კონტროლი საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი, კანონებისა და საკუთარ გადაწყვეტილებათა დაცვისადმი, მართვის ორგანოების მუშაობისადმი.

ჩვენმა საბჭოებმა, მათმა მუდმივმა კომისიებმა შესრულების კონტროლის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, სახალხო კონტროლის ორგანოებთან ურთიერთმოქმედების, ადგილობრივი საბჭოების საკონტროლო რწმენებათა განხორციელებაში დეპუტატებისა და დეპუტატთა ფორმირებების სულ უფრო ქმედითად ჩაბმის გარკვეული გამოცდილება შეიძინეს. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ძლიერ ჩამორჩენით საშუალო საკავშირო მაჩვენებელს საბჭოებისა და მათი აღმასკომების საქმეებში მუდმივ კომისიათა მონაწილეობის მხრივ.

საუკეთესო კონტროლია კონტროლი საქმით. 1979 წელს, როცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის ამოცანაა ამ დარგში საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირება ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის შენარჩუნებისა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესების, ატმოსფეროზე ქიმიური, ფიზიკური, ბიოლოგიური და სხვა მავნე ზემოქმედების ფაქტორების თავიდან აცილებისა და შემცირების მიზნით, რომლებიც იწვევენ არასასურველ შედეგებს მოსახლეობისათვის, სახალხო მეურნეობისათვის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსათვის.

პროექტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს სსრ კომპეტენციას ატმოსფერული ჰაერის დაცვის ურთიერთობათა რეგულირების დარგში. რესპუბლიკის კომპეტენციას გაწეკუთვნება ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესის დადგენის საკითხები, ატმოსფერული ჰაერის დაცვის რესპუბლიკური ნორმების შემუშავება და დამტკიცება, ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე გარემოს დაცვის მთელი რიგი სხვა საკითხების გადაწყვეტა.

პროექტში გათვალისწინებულია აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომპეტენცია ატმოსფერული ჰაერის დაცვის ურთიერთობის რეგულირების დარგში.

წარმოდგენილი პროექტი თვალისწინებს, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში შევიტანოთ ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების მიზეზების აღმოფხვრისა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს სსრ წარმოდგენილი კანონის პროექტი იმ დებულებებიდან გამომდინარეობს, რომ ატმოსფერული ჰაერი გარემო ბუნების ერთ-ერთი ძირითადი საარსებო და ძალზე მნიშვნელოვანი ელემენტია. ამასთან დაკავშირებით ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის ამოცანაა ამ დარგში საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირება ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის შენარჩუნებისა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესების, ატმოსფეროზე ქიმიური, ფიზიკური, ბიოლოგიური და სხვა მავნე ზემოქმედების ფაქტორების თავიდან აცილებისა და შემცირების მიზნით, რომლებიც იწვევენ არასასურველ შედეგებს მოსახლეობისათვის, სახალხო მეურნეობისათვის, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსათვის.

პროექტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს სსრ კომპეტენციას ატმოსფერული ჰაერის დაცვის ურთიერთობათა რეგულირების დარგში. რესპუბლიკის კომპეტენციას გაწეკუთვნება ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესის დადგენის საკითხები, ატმოსფერული ჰაერის დაცვის რესპუბლიკური ნორმების შემუშავება და დამტკიცება, ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე გარემოს დაცვის მთელი რიგი სხვა საკითხების გადაწყვეტა.

პროექტში გათვალისწინებულია აგრეთვე პროფილაქტიკური ზომები ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგში. მაგალითად, საწარმოებისა და სხვა ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის განლაგებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების ნორმატივების მკაცრი დაცვა. აღსანიშნავია, რომ ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას არ უნდა მოჰყვეს ნიადაგის, წყლისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების გაჭუჭყიანება.

იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, ატმოსფეროში გაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გამოფრქვევა უნდა შეიზღუდოს, შეჩერდეს ან აიკრძალოს იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელიც სახელმწიფო კონტროლს უწევს ატმოსფერული ჰაერის დაცვას.

კანონის პროექტი განსაზღვრავს საწარმოო და სხვაგვარ ხმაურთან ბრძოლის ღონისძიებებს. ამ მიზნით რკინიგზისა და ტრამვაის ხაზები, საავტომობილო გზები, აეროდრომები, აეროპორტები და სხვა ობიექტები, რომლებიც ხმაურის წყაროს წარმოადგენს, უნდა განლაგდეს დასახლებული პუნქტებისა და საბინაო მშენებლობის რაიონებისაგან მოშორებით. თავის მხრივ, მოქალაქეებიც მოვალენი არიან დაიცვან მოთხოვნები, რომლებიც დაწესებულია ბინებში, ეზოებში, ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში საყოფაცხოვრებო ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროექტი განსაზღვრავს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნათა შესრულების წესს აღმოჩენისა, გამოგონებათა, ახალი ტექნიკური სისტემების დანერგვის, აგრეთვე უცხოური მოწყობილობის შესყიდვის დროს. თუ ისინი ვერ აკმაყოფილებს ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონით მოკრატიულ საფუძვლების შემდგომ განვითარებასთან, მათი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სრულყოფასთან.

თუ ამ თვალსაზრისით შეეხედავთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას, გულახდილად უნდა ეთქვათ, რომ ბევრი ადგილობრივი საბჭოს სასესიო საქმიანობაში ჯერ კიდევ ვერ იგრძნობა სათანადოდ ეკონომიკაში მათი გავლენის გაძლიერების ტენდენცია.

რაიონული და სალაქაო საბჭოების სესიების ოქმების ბოლო წელიწად-ნახევრის ანალიზი მოწმობს, რომ ამ პერიოდში თავიანთ ტერიტორიაზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხები სესიებზე იშვიათად განიხილება.

მრავალი წლის პრაქტიკა დამაჯერებლად მეტყველებს უცილობელ ჭეშმარიტებაზე, რომ ყველა საბჭოს საქმიანობა, იქნება ეს უმაღლესი თუ სასოფლო, უშუალოდ დამოკიდებულია თითოეული დეპუტატის აქტიურობაზე, პასუხისმგებლობაზე, მაღალ მორალურ ავტორიტეტზე.

უნდა ითქვას, რომ დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა აქტიურად მონაწილეობს სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში, საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხთა მომზადებაში, მათი შესრულების კონტროლში, რეგულარულად ანგარიშს ამომრჩევლებს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოების ზოგიერთი აღმასკომი შესაბამის დახმარებას არ უწევს დეპუტატებს, არ აცნობს მათ მოქმედ კანონმდებლობას, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, ნაკლებ ყურადღებას უთმობს დეპუტატთა საქმიან გამოცდილებას, მათ თაოსნობას, დეპუტატთა მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას.

ახლა რაიონულ და საქალაქო საბჭოებთან შექმნილია დეპუტატთა სკოლები, დამტკიცებულია მათი თემატიკა. საჭიროა, რომ ეს სკოლები ნაყოფიერად მუშაობდნენ, ხელს უწყობდნენ დეპუტატთა სამართლებრივი ცოდნის გამდიდრებას, მათი პრაქტიკული საქმიანობის და გამოცდილების განზოგადებას.

ამხანაგო დეპუტატებო! ხანგრძლივი მოქმედების დოკუმენტი უწოდა სკკპ XXVI ყრილობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", რომელიც ითვალისწინებს იდეოლოგიური მუშაობის სფეროს მრავალი უბნის გარდაქმნას.

ცხოვრება ცხადყოფს, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს უდიდესი შესაძლებლობანი აქვთ ჩვენი პარტიის საპროგრამო მიზნების, მათ შორის ისეთი დიდმნიშვნელოვანი მიზნის რეალიზაციისათვის, როგორიც არის ადამიანთა კომუნისტური შეგნების ფორმირება. საბჭოების ტერიტორიაზე, სადაც ისინი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები არიან, განლაგებულია კულტურის სახლები და კლუბები, კინოთეატრები და ბიბლიოთეკები, მუზეუმები და სტადიონები — ის დაწესებულებანი, რომლებიც შეიძლება გახდეს და კიდევაც უნდა გახდეს. ამ მუშაობის ცენტრი. საჭიროა, რომ მარტო ენთუზიასტები კი არა, ადგილობრივი საბჭოების ყველა დეპუტატი და აქტივისტი, მშრომელთა [illegible] ზოგადოებრივი ორგანიზაციები [illegible] წმუნდეს, რომ მუშაობა [illegible] რებელი ადგილის მიხედვით ადამიანის აღზრდის ისეთი მაღლიანი სფეროა, სადაც საჭიროა მრავალთა ერთობლივი და საგულდაგულო მუშაობა მაღალი მიზნის მისაღწევად.

ამხანაგო დეპუტატებო! კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენს საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საკადრო პოლიტიკას, ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობისა და განაწილების შემდგომი გაუმჯობესების პრობლემებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილების შესაბამისად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების გამოცდილი კადრებით დაკომპლექტებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღმასკომის თავმჯდომარე ქალების რაოდენობის მხრივ საქართველო ბოლო ადგილზეა მოკავშირე რესპუბლიკათა შორის. როცა ამის თაობაზე მოგახსენებთ, ცოტა არ იყოს თავს უხერხულად ვგრძნობ, რადგან ქალთა დაწინაურებისადმი ასეთი დამოკიდებულება ჩვენს რაინდულ თავმოყვარეობას არ შეშვენის. მრავალწლიანი პრაქტიკიდან ვიცით, რომ ქალები საბჭოთა სამუშაოზე ჩვენ არავითარ პრობლემებს არ გვიქმნიან, პირიქით, ისინი მათთვის დამახასიათებელი თვისებების წყალობით ბევრ არასასურველ პრობლემას ხსნიან.

ამხანაგო დეპუტატებო! მოხსენება არ ისახავდა და არც შეეძლო დაესახა მიზნად საბჭოების მრავალფეროვანი მუშაობის ყველა მხარის მთელი სისრულით გაშუქება და მათ წინაშე დასახული ყველა ამოცანის განსაზღვრა. ალბათ, არც ის მოხერხდა, რომ სრულად ყოფილიყო თქმული საბჭოების, კერძოდ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის მუშაობაში არსებულ პრობლემებზე და ნაკლოვანებებზე.

რესპუბლიკის საბჭოები — სახალხო დეპუტატთა უზარმაზარი არმია, მთელი საბჭოთა აქტივი კვლავინდებურად მხარში ამოუდგება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის, საქართველოს სსრ ეროვნული დღესასწაულის — მე-60 წლისთავის შესახვედრად, აუცილებლად მოვიპოვებთ უფრო მაღალ, შთამბეჭდავ შედეგებს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში, კიდევ უფრო ავამაღლებთ რესპუბლიკის ავტორიტეტს და კვლავ გავაბარებთ სამშობლოს ახალ-ახალი შრომითი გამარჯვებებით. (ტაში).

ატმოსფერული ჰაერის დაცვის და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ა. ოდიშვილის მოხსენება*

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს. მესამე სესია ღირსშესანიშნავ დღეებში მიმდინარეობს. ამჟამად მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ პარტიის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელმაც ხალხის შემოქმედებითი შრომის, დედამიწაზე ადამიანთა მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრების საიმედო გარანტია შექმნა.

ყოველი ყრილობა ახალი მნიშვნელოვანი ეტაპია ჩვენი სახელმწიფოს განვითარების გზაზე, იგი მოწმობს წინ გადადგმულ გიგანტურ ნაბიჯს კომუნისტური მშენებლობის ყველა სფეროში.

ჩვენმა რესპუბლიკამ დიდი პოლიტიკური და შრომითი ამაღლობის ვითარებაში აღნიშნა საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60-ე წლისთავი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მონაწილეობამ ამ ზეიმში საქართველოს მშრომელთა უდიდესი აღფრთოვანება, შემოქმედებითი ენერგიისა და ძალების ახალი მოზღვავება გამოიწვია.

ამხანაგო დეპუტატებო! უსაზღვროა მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. მთელ ამ მრავალფეროვან სიცოცხლეს გარს აკრავს ატმოსფერული ჰაერის უზარმაზარი ოკეანე. ეს ოკეანე ასულდგმულებს სიცოცხლეს დედამიწაზე. ამდენად იმაზე, თუ როგორი იქნება ატმოსფერო — სუფთა, კამკამა, ჟანგბადით მდიდარი თუ დაბინძურებული, დიდად არის დამოკიდებული ადამიანის, ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობის ბედი. ამჟამად საზოგადოებრივი განვითარების დონემ უკვე მიაღწია იმ სიმაღლეს და მსოფლიო ტექნიკურმა პროგრესმა იმდენი თავსატეხი პრობლემების წინაშე დააყენა ადამიანი, რომ საჭიროა გამონახოს სწორი გზა გარემომცველი პირობების, უწინარეს ყოვლისა ჰაერისა და გარემოს გასაჯანსაღლად.

ჩვენი მიწა-წყალი და მისი სიმდიდრენი ფასდაუდებელი საერთო-სახალხო საკუთრებაა. ამიტომ ჩვენი სამშობლოს შესანიშნავი ბუნებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება თითოეული საბჭოთა ადამიანის — გარდამქმნელის, შემოქმედის, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის ცხოვრების პრინციპად უნდა იქცეს.

ჩვენი საუკუნე ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების მძაფრი განვითარების საუკუნეა და სამწუხაროდ, ისეთი პროცესებისაც, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ ბუნებას, აჭუჭყიანებენ ჰაერს და მთლიანად ატმოსფეროს. ამიტომ ამ ეტაპზე სუფთა ჰაერის პრობლემა, ცხოველთა სამყაროს დაცვა და გამოყენება განსაკუთრებით აქტუალური ხდება.

ამხანაგო დეპუტატებო! ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებს არსად მსოფლიოში ისეთი ყურადღება არ ექცევა, როგორც საბჭოთა კავშირში. ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველ წლებში კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა იმას, რომ ბუნებრივი სიმდიდრეები, რომლებსაც ხალხი იყენებს, დაცული ყოფილიყო მზრუნველად, მეცნიერულ საფუძველზე.

უკანასკნელ წლებში მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი, რომლებიც ხელს უწყობენ აირ და მტვერდასაჭერი დანადგარების მშენებლობის ტემპის დაჩქარებას. იხვეწება ტექნოლოგიური პროცესები, ინერგება უნარჩენო წარმოება, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გამოფრქვევა. ამავე დროს მიმდინარეობს დიდი სამუშაოები რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების კეთილმოსაწყობად და გასამწვანებლად. ჰაერ

კამათი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გ. გილაშვილის მოხსენებების გამო

(დასასრული)

ამ მხრივ ბევრი პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა ჩვენს რაიონში. საბრიგადო საბჭოს დასკვნის გარეშე არც ინიშნება და არც იხსნება თანამდებობიდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებული საშუალო რგოლისა თუ უფრო მაღალი რანგის ნომენკლატურული პირი. სამოქალაქო სადაო საკითხებს შეისწავლის უხუცესთა საბჭო, ურომლისოდაც არ წყდება არც ერთი სამეზობლო თუ სხვა სამოქალაქო სადაო საკითხი. პრაქტიკაში დაინერგა ბრიგადირებისა და ფერმის გამგეების ღია კენჭის ყრით არჩევა, საბჭოთა მეურნეობის დირექტორების კანდიდატურები წინასწარ უთანხმდება ამავე მეურნეობის პარტიულ-სამეურნეო აქტივს და იგი ყოველ კვარტალში ისმენს მათ ანგარიშს.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს მტკივნეული და გადაუჭრელი საკითხები, ისეთები, როგორიცაა მმართველობის და სამეურნეო აპარატის ხელოვნური გაზრდა, უმიზნო ქვესამსახურების შექმნა, გაუმართლებელი თათბირების ხშირი გამართვა და სხვა.

არც ერთ ორგანიზაციასა თუ დაწესებულებაში, რომელიც სოფლის მეურნეობას ემსახურება, ისე ეფექტიანად არ გამოიყენება სატრაქტორო და საავტომობილო პარკები, როგორც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც მათ აკისრიათ შრომის იარაღის, პროდუქციის შექმნის საშუალების როლი. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ეს დარგი ასცდა გაერთიანებების შემოტევებს, პროდუქციის მწარმოებელი მეურნეობები კი თანდათანობით ტექნიკური აღჭურვის გარეშე დაგვრჩა. მაგალითად, რაიონის ერთერთ მსხვილ მეურნეობას — „ბაზისუბნის კოლმეურნეობას, რომელიც აწარმოებს 7 მილიონ მანეთის პროდუქციას, მხოლოდ ოთხი ტრაქტორი ემსახურება, რომელთაგან ორი ხუთი წლის წინათ უნდა ჩამოწერილიყო.

საერთოდ კი რაიონში 1976 წელთან შედარებით მიმდინარე წელს თითქმის სამჯერ უნდა გაიზარდოს პროდუქციის წარმოების დონე. აღნიშნული სახის დეფიციტური ტექნიკა კი წლეულს ორჯერ ნაკლები გამოგვეყო. უარესდება ხალხის გადაყვანის, საწამლი ხსნარის გადატანისა და სხვა სამუშაოების შესრულების პირობები. ჩვენი აზრით, დეფიციტური ტექნიკა უნდა ნაწილდებოდეს საზოგადოებრივ მეურნეობებში წარმოებული პროდუქციისა და სამუშაოს მოცულობის შესაბამისად. მიგვაჩნია, რომ სათანადო ორგანოები უნდა დაინტერესდნენ ამ საკითხით. (ტაში).

დეპუტატ ნ. ნ. ნეფედოვის

სიტყვა

დღეს მოელვარების გარეშე ვერ გავიხსენებთ საბჭოთა საქართველოს მესამოცე მაისის იმ მშვენიერ დღეებს. ყველანი განვიცდით შემოქმედებითი ძალების, ენერგიის აღმავლობის, ხვალინდელი დღისადმი მისწრაფების განსაკუთრებულ გრძნობას, რაც გამოწვეულია თბილისში სკკპ XXVI ყრილობის პირველი დელეგატის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან სტუმრების ჩამოსვლით. ეს დღეები, ლეონიდ ილიას ძის გამოსვლები საიუბილეო ზეიმზე, საქართველოში გამართული შეხვედრები მძლავრ მუხტს გვაძლევს ახალი წარმატებების მისაღწევად, გვისახავს დიდი გამარჯვებების ახალ ჰორიზონტებს.

სწორედ ამ აზრით იყო გამსჭვალული სესიის წინ გამართული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის რჩევა-დარიგებებიდან და მითითებებიდან გამომდინარე გადაუდებელი ამოცანათა გადაწყვეტის გზები.

ჩვენი დედაქალაქისთვის ეს, უწინარეს ყოვლისა, არის მისი ეკონომიკური ძლიერების შემდგომი ამაღლება, მისი მეცნიერული და ტექნიკური პოტენციალის ზრდა, ამ პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ახალი მრავალპლანიანი სოციალური პრობლემების გადაჭრა. სწორედ ეს მიგვაჩნია რესპუბლიკის დედაქალაქის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების, დეპუტატების, აქტივის ძალების მთლიანად გამოყენების ძირითად წერტილად, რომლებსაც ფართო შესაძლებლობები ენიჭებათ „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში.

ამ დადგენილების შესაბამისად ჩვენ უკვე გარკვეული გამოცდილება გვაქვს შეძენილი არა მარტო კომპლექსურ-ტერიტორიული გეგმების შედგენის, არამედ იმ კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავების საქმეშიც, რომლებიც უზრუნველყოფენ მუდმივ კონტროლს დარგობრივ დავალებათა შესრულების მიმდინარეობისადმი, რასაც დამაჯერებლად მოწმობს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის ხუთი თვის შედეგები.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა გავლენა ცალკეულ რეგიონალურ ორგანოებზე სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისათვის. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშავა ამ საქონლის გამოშვების, მიწოდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი. საბჭოთა პროგრამის ფარგლებში ქალაქის საწარმოებში გაიზარდა საკვებისა და ხორც-რძის მრეწველობის პროდუქციის გამოშვება.

ამასთან უნდა გადაიჭრას მწვავე პრობლემები — კიდევ უფრო უნდა განვითარდეს საქალაქო ტრანსპორტი, არსებითად უნდა გაუმჯობესდეს ატმოსფერული ჰაერის დაცვა, აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და კომუნალურ მომსახურებაში, საბინაო ფონდის შენარჩუნებაში, მთლიანად ამაღლდეს მოსახლეობის მომსახურების კულტურა. ყოველივე ეს გვისახავს ამოცანას მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ საქალაქო და რაიონული საბჭოების, მათი ქვეგანაყოფებისა და სამსახურების საქმიანობა პასუხისმგებლობის, დისციპლინისა და თვითდისციპლინის განუხრელი ამაღლების საფუძველზე. (ტაში).

დეპუტატ ო. გ. პატიაშვილის

სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! რესპუბლიკის საერთო წარმატებებში დიდია რუსთაველი მშრომელების წვლილი. რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი, პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობით, აბორიგენებენ რა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, სულ უფრო ამაღლებენ ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო, კომუნალური მომსახურების დონეს.

მეათე ხუთწლედში ათვისებულ იქნა 20 დასახელების ფართო მოხმარების საქონლის წარმოება, რომლის მოცულობამ 1980 წელს მიაღწია 4 მილიონ ოთხი ათას მანეთს. ფართო პროგრამაა გათვალისწინებული მეთერთმეტე ხუთწლედში. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობა გაიზრდება თითქმის 2,5-ჯერ და 1985 წლისათვის 10 მილიონ მანეთს მიაღწევს.

სკკპ XXVI ყრილობა და ამ ყრილობაზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენება განსაკუთრებულ ამოცანებს აყენებს რუსთაველი მშრომელების წინაშე. ჩვენ კიდევ ვალში ვართ ქვეყნის წინაშე, მუშაობაში გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა გადაჭრაც ჩვენზეა დამოკიდებული.

გასული წელს კადრების დენადობამ ქალაქში 17,5 პროცენტი შეადგინა. ამის ძირითადი მიზეზია შრომის მექანიზაციის დაბალი დონე. ცუდი მდგომარეობა გვაქვს ახალგაზრდა სპეციალისტების დამკვიდრების საქმეში. საწარმოებში რჩება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მხოლოდ ნახევარი. ასევე სრულყოფილად არ გამოიყენება ქალთა შრომა. და ეს მაშინ, როცა ქალაქში შენდება ახალი საწარმოები. დასახლებების წარმოებაში მოსაზიდავად სწორი გზა გამონახა ქიმიური ბოჭკოს ქარხანამ. ესაა 4-საათიანი სამუშაო დღე, თანაც მათთვის ხელსაყრელ დროს. მაგრამ ეს, როგორც ამბობენ, წვეთია ზღვაში. ქალთა წარმოებაში მიზიდვისათვის უპირველესად საჭიროა აშენდეს მეტი ბაგა-ბაღები და სკოლები.

ერთ საკითხზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. ეს არის ბინათმშენებლობის ხარისხი. მე მშენებელი ვარ და საოცრად მტკენს ხოლმე გულს ის, რომ ჩაბარებული სახლი ახალმოსახლეთა სიხარულს კი არა, საყვედურებს იწვევს. მდგომარეობის გამოსასწორებლად ღონისძიებათა მთელი სისტემაა საჭირო. სწორედ ამ თვალსაზრისით მიუდგა საკითხს საქალაქო საბჭოს აღმასკომი, როცა შეიმუშავა სპეციალური გეგმა საბინაო მშენებლობის ხარისხის ძირეული გაუმჯობესებისათვის. იქ ერთ-ერთ პუნქტად დასახელებულია სახლთაშენებელი კომბინატის რეკონსტრუქცია, რომელიც დაგეგმილია 1983 წლისათვის. ეს ძალიან შორეული ვადაა და ჩვენი მდგომარეობა ვერაფრით ეგუება მას. ამიტომ მინდა ვისარგებლო შემთხვევით, და ვთხოვო საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ამხ. გოგოლაძეს დაგვეხმაროს სარეკონსტრუქციო ვადის გადმოტანის საქმეში. (ტაში).

დეპუტატ თ. შ. კაბულოვას

სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! კანონიერი სიამაყის გრძნობით, ოპტიმიზმითა და მომავლის რწმენით დავიწყეთ მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლები. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის სამოცი წლისთავი მკაფიო და დაუვიწყარი დღესასწაული გახდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ყველა ფენისათვის. ვამაყობთ ჩვენი რესპუბლიკით, მისი წარმატებებით სახალხო მეურნეობაში, მეცნიერებასა და კულტურაში, რესპუბლიკით, სადაც, როგორც ლენინი ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა „სუფევს ნამდვილი ინტერნაციონალური მეგობრობის ატმოსფერო“.

ლენინი ილიას ძის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი პარტიის ბრძნულ ლენინურ პოლიტიკას, რომელიც დამაჯერებლად გამოიხატება ოსი ხალხის ბედით. სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი, დებულებანი და დასკვნები, რომლებსაც შეიცავდა თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, თითოეული რაიონისა და მთლიანად ოლქის აღშენებლობის ეშმარიტად გრანდიოზულ პროგრამად იქცა.

როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, ხალხის კეთილდღეობის აღმავლობისათვის პარტიული და საბჭოთა ორგანოების საქმიანობაში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს.

ჩვენ უკვე შევუდექით სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის შემუშავებას. გათვალისწინებული გვაქვს ყველა შესაძლებლობა, მათ შორის ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება, არსებულ საწარმოებში ასორტიმენტის განახლება და, რაც მთავარია, ხალხისათვის განკუთვნილი საქონლის ხარისხის გაუმჯობესება.

სერიოზული პრობლემები დგას ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის წინაშე. საქართველოს დედაქალაქში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში მოცემული „კრიტიკული შენიშვნები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მიმართ სავსებით განკუთვნილია სამხრეთ ოსეთისაც. მით უმეტეს, რომ ჩვენი ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარების დონე საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებზე დაბალია. არ გვაკმაყოფილებს სოფლის ობიექტების შენებლობის ტემპი და ხარისხი. მეცხოველეობის მუშაკებს დიდ სიძნელეებს უქმნის ობიექტების ხარვეზებით ჩაბარების მანკიერი პრაქტიკა.

პრობლემები, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ უახლოეს წლებში ჩვენი ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, მეტად რთული და მრავალფეროვანია. მათი წარმატებით გადაწყვეტისათვის ახალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ მთელი ორგანიზატორული მუშაობა, დავხვეწოთ ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სახელმწიფო ხელმძღვანელობის სტილი, ფორმები და მეთოდები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოები საოლქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ყველ ღონეს იხმარენ, რათა დარაზმონ მშრომელები მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანების შესასრულებლად, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. (ტაში).

დეპუტატ გ. ს. აბზიანიძის

სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ის მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა, რომელიც სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებმა, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემულმა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის მაღალმა შეფასებამ გამოიწვია, თითოეულ ჩვენგანს ძალას გვმატებს და გვინერგავს მტკიცე რწმენას, რომ ყველა დავალება პირნათლად შესრულდება.

რთული და დაძაბულია ქუთაისისათვის მეთერთმეტე ხუთწლედი. უნდა გადავწყვიტოთ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრანდიოზული ამოცანები.

ასეთი საპატიო პროგრამის შესრულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის სოციალურ უზრუნველყოფაზე. მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მომსახურების სფეროების სრულყოფა, ყველგან და ყველაფერში წესრიგის განმტკიცება — აი ძირითადი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა მთლიანად უნდა ვიტვირთოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა.

პასუხისმგებლობისა და მოვალეობის ასეთი ზრდის პირობებში მიღწეულის კრიტიკულად შეფასებისას ვრწმუნდებით, რომ საქალაქო მეურნეობის ცალკეულ სფეროებში წარმოშობილ სიძნელეებს მთლიანობაში ვერ ვუპირისპირებთ მაღალ ორგანიზებულობას, ვმუშაობთ საკუთარ შესაძლებლობებზე ნაკლებად.

ქალაქში მიმდინარეობს ფართო მუშაობა მართვის კოორდინირების მიზნით, რამაც ძირითადში უზრუნველყო ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხების გადაწყვეტაში საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება. ჩვენ უკვე ვხელმძღვანელობთ და პასუხს ვაგებთ საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის, მომსახურების ყველა სფეროში არსებული მდგომარეობისათვის.

მუშაობის ეს ფორმა გვაძლევს რეალურ საშუალებას მეთერთმეტე ხუთწლედში საკუთარი ძალებით, კომპლექსურად დადაჭრათ ისეთი პრობლემები, როგორიცაა ქალაქის თბო და წყალმომარაგება, კანალიზაცია, ცალკეული უბნების, ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობა.

ასევე ვითვალისწინებთ მომავალში გეგმიანად ვმართოთ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხები.

ამ ამოცანების გადაწყვეტას კიდევ უფრო რეალურს ხდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიერ ახლახან მიღებული დადგენილება სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ. (ტაში).

დეპუტატ ს. მ. სულეიმანოვის

სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! არცთუ ისე დიდი დრო გავიდა იმ სამახსოვრო მაისის დღიდან, როცა საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის 60 წლის თავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, ყველა მშრომელს დაუსახა ახალი, უფრო მაღალი ამოცანები, რომლებიც რესპუბლიკის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას ეხება. ლეონიდ ილიას ძის მითითებათა განხორციელება საბრძოლო პროგრამა, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების ერთადერთი სწორი გზაა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ რესპუბლიკური პრესის ორგანოები ახლა მკითხველთა ყურადღებას მიაპყრობენ იმ საარსებო პრობლემებს, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს.

რესპუბლიკის პარტიული პრესის ფლაგმანი — გაზეთი „კომუნისტი“ თავის ყრილობისშემდგომ პუბლიკაციებში მიზანდასახულად უწევს პროპაგანდას პარტიის გადაწყვეტილებებს, ხელს უწყობს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. ივვივე მიზანს ემსახურებიან გაზეთები „ზარია ვოსტოკა“, „სოვეტაკან ვრასტანი“, „სოვეტ გურჯუსტანი“, „სოფლის ცხოვრება“, რესპუბლიკის მთელი პრესა, რომელიც რაზმავს მკითხველებს პარტიის წინასწარდასახულობათა უთუოდ შესრულებისათვის.

შემუიდროებულ ვადებში უზრუნველყოთ ხალხი ყველა სასურსათო პროდუქტით, ხოლო მრეწველობა — სოფლის მეურნეობის ნედლეულით — ასეთი ამოცანა დასახა პარტიამ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ ამოცანიდან გამომდინარე, ჩვენი გაზეთი „სოვეტ გურჯუსტანი“, მაგალითად, აგერ უკვე მეხუთე წელია შეფობს რესპუბლიკის მეურნეობებში საადრეო მეკარტოფილეობის განვითარებას. ამ კულტურის მოსავლიანობის გაზრდა, ბრიგადებს, განყოფილებებს, მეურნეობებს და რაიონებს შორის შეჯიბრების ორგანიზაცია, მუშაობის მოწინავე გამოცდილების გავრცელება ბევრი ჩვენი გამოსვლის არსია. აღსანიშნავია, რომ თუ რვა წლის წინათ ჩვენს რესპუბლიკაში მოპყავდათ სულ 3 ათასი ტონა საადრეო კარტოფილი, უკვე მომდინარე წელს მისი დამზადების ხვედრითი წონა ¹00 ათასამდე ტონას შეადგენს.

სკკპ XXVI ყრილობამ მოსთხოვა მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს მაღალი საზოგადოებრივი აქტიურობა და პასუხისმგებლობა. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ რესპუბლიკურმა პრესამ შეიძინა იმ სხვადასხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება, რომლებიც ზიანს აყენებენ ჩვენს საქმეს, აფერხებენ ჩვენს წინსვლას. წარსული გადმონაშთებთან ამ ბრძოლაში პრესას შეუძლიათ და უნდა დაეხმარონ კიდეც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები.

გაზეთი „სოვეტ გურჯუსტანი“, რომელიც აზერბაიჯანულ ენაზე გამოდის საქართველოში, ყოველმხრივ აშუქებს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების საკითხებს. ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია რწმენითა და სიმართლით ვამტკიცებდეთ ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ამ შესანიშნავ ტრადიციებს. (ტაში).

დეპუტატ რ. ვ. ჭეიშვილის

სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე ერთ-ერთ პრაქტიკულ ნაბიჯად მიგვაჩნია რაიონის სასურსათო პროგრამის შემუშავება და მახარაძის რაიონული საბჭოს სესიაზე მისი დამტკიცება. ამ მხრივ ჩვენ ერთ-ერთი პირველები ვიყავით რესპუბლიკაში. ასეთივე პროგრამები შემუშავდა და დამტკიცდა სასოფლო, სადაბო, ქალაქო საბჭოების სესიებზე, ჩვენი დეპუტატები უკვე რეალურად ხორცს ასხამენ ამ პროგრამას, ეძებენ გამოუყენებელ რეზერვებს.

ამ უკანასკნელ პერიოდში ფართოდ გაიშალა მოძრაობა საზოგადოებრივ მეურნეობებთან მოსახლეობის კოოპერირებაში ჩასაბმელად. აღსანიშნავია, რომ კოოპერირებაში მასობრივად ჩაება მოსახლეობა.

დიდი და რთული ამოცანების წინაშე დგანან მომდინარე წელს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები. არახელსაყრელმა ამინდის პირობებმა ბევრი სიძნელე შექმნა. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ჩაის ფოთლის კრეფის ფრონტზე. ამჟამად ყველა ღონისძიება ტარდება ჩამორჩენის დასაძლევად და იმის მისაღწევად, რომ უახლოეს დღეებში გავუთანაბრდეთ მარშანდელ დონეს და მიმდინარე წელს დავამზადოთ 95000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

როდესაც ჩაის კულტურაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დამამზადებელ და გადამმუშავებელ დარგებს შორის თანაფარდობის რეგულირების საკითხებს. მართალია, განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გაიზარდა ჩაის ფაბრიკების საწარმოო სიმძლავრეები, გაუმჯობესდა ტექნოლოგიური პროცესები, მაგრამ დისპროპორცია მაინც დიდია.

არსებული საწარმოო სიმძლავრეების მაქსიმალური გამოყენების, წარმოების ეფექტიანობისა და ქართული ჩაის ხარისხის ამაღლებისათვის პარტიის მახარაძის რაკომში, რაისაბჭოს აღმასკომსა და სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებაში შემუშავდა ჩაის ფაბრიკების მუშებისათვის მატერიალური სტიმულირების ახალი ფორმა.

დიდი ხანია დღის წესრიგში დგას რაიონულ ცენტრში არსებული ბაზრის ტერიტორიაზე ახალი დახურული ბაზრის დაპროექტება-მშენებლობის საკითხი. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საპროექტო ორგანიზაციის მიერ შედგენილი დახურული ბაზრის პროექტი სახმშენში განხილვის შემდეგ მოითხოვდა შესწორებას, მაგრამ იგი მთლიანად მივიწყებულია.

დღეს მომავლის თვალსაწიერით განვსაზღვრავთ ჩვენს ამოცანებს, გაბედულად ვამბობთ: ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას დაუქვემდებარებთ ყველა ღონისძიებას, კიდევ უფრო გაბრწყინდეს რაიონის საბჭოთა ორგანოების აქტიურობას, ვადამდე შევასრულებთ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებებს და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, უზრუნველვყოფთ რაიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას. ეს იქნება ჩვენი შრომითი წვლილი რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში. (ტაში).

დეპუტატ თ. ი. ვაშაკიძის

სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონულმა საბჭომ, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებმა ძირფესვიანად გააუმჯობესეს საშეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგებისადმი ხელმძღვანელობის საქმე, რაც სულ უფრო გადამწყვეტ გავლენას ახდენს რაიონის მშრომელთა შრომის წარმატებებზე.

პარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა დეპუტატებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად, ყველა საბჭოში შექმნილია დეპუტატთა სწავლების სკოლები. დეპუტატებთან მუშაობა მჭიდროდაა დაკავშირებული განაწესების აღრიცხვასა და მათი შესრულების ორგანიზაციასთან, რასაც სერიოზული ყურადღება ექცევა. დეპუტატთა აქტიურობის ზრდა გაპირობა აგრეთვე დეპუტატთა ჯგუფების შექმნამ. რაიონის ადგილობრივ საბჭოებში სულ შექმნილია 64 დეპუტატთა ჯგუფი.

ანალოგიურად სწარმოებს მუშაობა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების წინაშე დაყენებული განაწესებისა და წინადადებების შესასრულებლად. დეპუტატებს ამომრჩევლებმა მოგვცეს 14 განაწესი, რომელთაგან დღეისათვის შესრულებულია 12.

რაიონის სამრეწველო საწარმოებმა მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმა-ვალდებულება 102,2 პროცენტით შეასრულეს. საბჭოების აღმასკომები, იბრძვიან რა სასურსათო პროგრამის განხორციელების შესახებ პარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნათა შესასრულებლად, წარმატებებს აღწევენ მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობის გადიდებაში. ჩვენს რაიონში ფართოდაა დანერგული მოსახლეობის კოოპერირების პრაქტიკა.

მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა ჩვენი ქალაქის, დაბის და სოფლების კეთილმოწყობისათვის.

ამასთან საჭიროდ მიმაჩნია მოვახსენო სესიას, რომ ის ნაკლოვანებები და ხარვეზები, რომლებიც აღნიშნული იყო სესიაზე გაკეთებულ მოხსენებაში, საგსებით შეეხება ჩვენი რაიონის საბჭოების მუშაობას. ჩვენ გავითვალისწინებთ ამას და მთელი სიმტკიცით ვიბრძოლებთ ხარვეზების დროზე აღმოფხვრისათვის.

ჩემი ოლქის ამომრჩევლებმა დამავალეს მეთხოვა სესიისათვის დაგვხმარებოდა ერთი მტკივნეული საკითხის გადაწყვეტაში.

ქალაქ სამტრედიის ლენინის, სოფლების ეწრის, რუსთაველის, მელაურის სტურუას და ნაბაკევის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები აქვთ მდინარე რიონის ორივე მხრეს. მუშა-ხელის გადასაყვანად და მოსავლის გამოსატანად, აგრეთვე პირუტყვის ტრანსპორტირებისათვის კოლმეურნეობები სარგებლობენ ბორნით, რომელიც ხშირად საჭიროებს ადგილის შეცვლას და წყალდიდობის დროს თითქმის გამოუყენებელია. მშრომელები რამდენიმე წელია აყენებენ საკითხს, რომ მდინარე რიონზე აშენდეს საბაგირო-სატრანსპორტო ხიდი კოლმეურნეობების წილობრივი მონაწილეობით, მაგრამ იგი დღემდე გადაუწყვეტელია.

გამოვთქვამ რწმენას, რომ, როგორც ყოველთვის, ახლაც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სათანადო რეგორებს მოახდენს ამ საკითხზე და დაგვეხმარება მის დადებითად გადაჭრაში. (ტაში).

დიდი სამამულო ომის დაწყების მე-40 წლისთავი

1941 წლის 22 ივნისი, კვირადღე. ფაშისტებმა თავს მოგვახვიეს სამკვდრო-სახიცოცხლო ომი. ჩვენ გავიმარჯვეთ! ეს გამარჯვება ოცი მილიონი ადამიანის სიცოცხლის გაწირვად დაგვიჯდა, თანაც, ვინ მოთვლის, რამდენი უბედურება დაგვიტოვა ისეთი, დღესაც რომ გვტკივა, ორმოცი წლის შემდეგ. დრო მოვა, და დიდი სამამულო ომის არც ერთი მონაწილე ცოცხალი აღარ იქნება, მაგრამ იმ ომის საშინელებას ხალხი, მიწა და დრო-ჟამის ხული ვერ დაივიწყებს ვერასოდეს. აი, გავჩხრიკე ჩემს არქივში ჯარისკაცური ჩანაწერები, ზოგი შემდგომი ჟამის ნაფიქრ-ჩანაშენულიც გადავათვალიერე და ლექსთაგან რაიც ახე თუ ახე დღესაც საყურადღებოდ მეჩვენა, ხელახლა გავაშალაშინე და ვთავაზობ მკითხველსაც, როგორც გარდახული ომის გახსენებას — შერწყმულს დღევანდელი მშვიდობიანმოყვარე ადამიანის საფიქრალთან.

ქაქაქი გეწაქე

ფარაჯიანი ლექსები

ომი — დენთის ბოლით შესუდრული მოლი,
ომი — ხვნეშის მინა, ცაც დაღლილა ბრძოლით...
ომი — ნავთზე რიგი, რიგი დიდზე დიდი.
ომი — პურზე რიგი, რიგი დიდზე დიდი.
ყველაფერზე რიგი.
რიგი მძიმედ მიდის,
თითქოს გასავლელი უძევს ბენვის ხიდი,
მძიმედ მიდის რიგი,
რიგს არ უჩანს ბოლო...
და ურიგოდ ახლა
სიკვდილია მხოლოდ.

● ●

მოსამკელ ყანას სისხლი ალპობდა
და დენთის კვამლში მცურავი დღენი
ქვემეხთა ენით ლაპარაკობდნენ,
ლაპარაკობდნენ ტყვიების ენით.

ომმა წაართვა ცას ცისლამაზე,
დაჭრილ მზესაც კი სდიოდა სისხლი.
ომმა მასწავლა, რომ ქვეყანაზე
ყველა როდია სიცოცხლის ღირსი.

მინა ხვნეშოდა ცის ამბოხებით,
სიცოცხლე ხშირად იყო მშიერი...
ჩვენ დავამარცხეთ ის ჯოჯოხეთი,
რადგანაც გვქონდა სული ძლიერი.

● ●

დრო-ჟამი ძველ ტკივილს ჭრილობებს უხვევს
და ძველი ტკივილის კვნესა კვლავ გვესმის...
გამომაღვიძა სიხმარმა წუხელ,
ომში დაკარგული მესიხმრა ლექსი.

თუნდაც ერთ ხეს მოხვდეს ტყვია,
ნატყვიარი მთელ ტყეს სტკივა.
თუნდაც ერთ კაცს მოხვდეს ტყვია,
მთელ სიცოცხლეს მნარედ სტკივა,
მნარედ სტკივა დედამინას.

დედამინას ემატება ტკივილი და ჭაღარა,
როცა სადღაც ომის სული ხრჩოლავს.
დედამინა მზის შვილია პატარა
და ბავშვივით უნდა მოვლა.

არა, ღმერთს არ აბარია ჩვენი ბედი,
სამყაროს ბედს თვითონ ხალხი ჭედავს.
მოვუაროთ დედამინას —
ყველა დედის,
ყველა მამის დედას!

ეპიტაფია საძმო საფლავზე

მზე ომის ღრუბლებს თანდათან ალხობს,
მიწას მშვიდობის ღიმილი შვენის.
ჩვენ ბრძოლის ველზე დავეცით, ხალხო,
რომ არ მოეკლათ სამშობლო ჩვენი!

ს. თავდიშვილი



ქართულმა აგროეკონომიკურმა მეცნიერებამ დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, იკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, 1941 წლი